# სამშობლოს ჯილდოების გადაცემა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა 27 დეკემბერს კრემლში სამშობლოს ჯილდოები გადასცა ამხანაგების ჯგუფს.

ჯილდოების გადაცემისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

პატივცემულო ამხანაგებო!

ჩვენ ახალი წლის წინ ვხვდებით ერთმანეთს. ეს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ლაზათს მატებს ჩვენს შეხვედრას, კიდევ უფრო საზეიმო ხასიათს ანიჭებს მას. და მე, მინდა, გულითადად მოგილოცოთ ყველას, სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა მოწოდების ადამიანებს დამდეგი ახალი წელიც და სამშობლოს ჯილდოებიც.

საბჭოთა პურის ბარაქას მნიშვნელოვანი წვლილი შემატა ნიკოლოზ ვასილის ძე ციცინის — საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის მრავალი წლის გარჯამ. დღეს მას გადაეცემა ლენინის ორდენი და მეორე „ნამგალი და უროს" ოქროს მედალი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. ამ ენერგიულმა და გაბედულმა ადამიანმა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტზე ავტორიტეტი მოიხვეჭა როგორც რესპუბლიკაში, ისე მთელ ჩვენს ქვეყანაში.

ლენინის ორდენით დაჯილდოვდა ნიკოლოზ ტიმოთეს ძე გლუშკოვი. იგი ბევრს და ნაყოფიერად მუშაობდა ფერად მეტალურგიაში, ახლა კი, უკვე რამდენიმე წელია, სათავეში უდგას ფრიად მნიშვნელოვან სამეურნეო ორგანოს — ფასების სახელმწიფო კომიტეტს.

კმაყოფილებას მანიჭებს დღეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადავცე მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს. ეს ჯილდო მან ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბელელში — სტავროპოლის მხარეში მუშაობისას მოიპოვა. იმედი მაქვს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ახალ პასუხსაგებ პოსტზე მუშაობისას მიხეილ სერგის ძე კვლავ გამოიჩენს მისთვის ჩვეულ ინიციატივას და თავდადებას მუშაობაში.

ჯანმრთელობის დაცვის, მედიცინის მეცნიერების განვითარებაში გაწეული ღვაწლისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა არამ იაკობის ძე აბრამიანი. ძნელია იმ პაციენტების რიცხვიც კი დაასახელო, რომლებიც მას თავიანთ ჯანმრთელობას უნდა უმადლოდნენ.

დღეს დაჯილდოებულთა შორის არის ანატოლი კარპოვი. არა მგონია, საჭირო იყოს აქ წარმოგიდგინოთ იგი. თავად მან ძალიან ღირსეულად წარმოადგინა საკუთარი თავიც და ჩვენი ქვეყანაც დაძაბულ შეჯიბრებაში საჭადრაკო გვირგვინისათვის. მისი სპორტული გმირობა შრომის წითელი დროშის ორდენით აღინიშნა.

მე უნდა შევასრულო კიდევ ერთი სასიამოვნო მოვალეობა — არმიის გენერლის წარჩინების ნიშნები გადავცე ამხანაგებს ვადიმ ალექსანდრეს ძე მატროსოვს და სიმონ კუზმას ძე ცვიგუნს. სულით და გულით გილოცავთ ამ მაღალი მხედრული წოდების მონიჭებას.

გისურვებთ ყველას, ძვირფასო ამხანაგებო, კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას, ახალ წარმატებებს ცხოვრებასა და შრომაში.

დაჯილდოებულებმა გულითადი მადლობა მოახსენეს კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა სახელმწიფოს, პირადად [...] ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მათი გარჯის მაღალი შეფასებისათვის [...], რომ მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას კვლავაც მოახმარენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეს.

ჯილდოების გადაცემას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 254 (6309)

28 დეკემბერი, ხუთშაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ოქროს მედლები — ჩემპიონებს

## ფეხბურთის ზეიმი თბილისის სპორტის სასახლეში

ამ დღეს დიდი ხანია ელოდნენ ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები — მთელი 14 წელიწადი... 1964 წლის 1 დეკემბრიდან.

მაშინაც ასე იყო, იმ შორეულ ზამთრისპირა დღეს. გახსოვთ, თბილისის სპორტის სასახლის მისადგომებთან „ზედმეტი ბილეთის" ტრადიციული შეკითხვები? ქართული ფეხბურთის პირველი დიდი გამარჯვებისადმი მიძღვნილ ზეიმზე დასწრების სურვილი თბილისის „დინამოს" ყველა გულშემატკივარს ჰქონდა.

და აი, 1978 წლის 26 დეკემბერი. საქართველოს დედაქალაქის სპორტის სასახლე კვლავ უთმობს მაყურებლით სავსე ტრიბუნებით გარშემორტყმულ ნაცნობ სარბიელს საბჭოთა კავშირის ახალ ჩემპიონებს — თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს, ტყავის ბურთის სახელოვან ოსტატებს, ოქროს მედლების გადაცემის ცერემონიალის მონაწილეებს.

სწორედ უზარმაზარი ოქროს მედლებით მოურთავთ საღამოს ორგანიზატორებს (დადგმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის არჩილ ჩხარტიშვილის, მხატვრობა — ქალაქის მთავარი მხატვრის ოთარ ლითანიშვილის) სასახლის სარბიელი.

...გაისმის ფეხბურთის მარშის ნაცნობი მელოდია. სარბიელზე ტრადიციული მიკროფონით ხელში შემოდის სპორტული რადიო-ტელეკომენტატორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **კოტე მახარაძე**. იგი, სპეციალურად მოწყობილ შემაღლებაზე იხმობს ქართული ფეხბურთის ვეტერანებს, მათ, ვინც თბილისის „დინამო" ფეხბურთის დიდ გზაზე გაიყვანა, ვინც ჩვენი მშობლიური გუნდი ქვეყნის ერთ-ერთ პოპულარულ და საყვარელ კოლექტივად აქცია. ბორის პაიჭაძე და გაიოზ ჯეჯელავა, მიხეილ ბერძენიშვილი, გრიგოლ გაგუა, ავთანდილ ჭკუასელი... აგერ ჩვენი პირველი ჩემპიონებიც — ისინი, ვინც 1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტის „პახტაკორის" სტადიონზე მოსკოვის „ტორპედოსთან" დაუვიწყარ ორთაბრძოლაში ქართულ ფეხბურთს ოქროს მედლების პირველი კომპლექტი მოუტანა: სერგო კოტრიკაძე, ილია დათუნაშვილი, ბორის სიჭინავა, ვახტანგ რეხვიაშვილი, აქვე არიან მათი მწვრთნელები გავრიილ კაჩალინი და ალიოშა კოტრიკაძე.

სასახლის თაღებქვეშ გაისმის კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილისა და პოეტ მორის ფოცხიშვილის პოპულარული სიმღერა „დინამო, დინამო!..", რომელსაც საღამოს მონაწილე ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ივერია" ასრულებს.

სარბიელზე თავყრილობის მიზეზი — სსრ კავშირის ჩემპიონი თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი შემოდის ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობით. მაყურებლები გულთბილი შეძახილებით მიეგებებიან 1978 წლის ფეხბურთის სეზონის ოქროს ლაურეატებს...

(დასასრული მე-3 გვ.).

**ზეიმი თბილისის სპორტის სასახლეში: სარბიელზე ჩვენი სახელოვანი მოცეკვავეები არიან, მარჯვნივ ამაღლებაზე კი — სახელოვანი ქართველი ფეხბურთელები.**

ა. კოტორაშვილის ფოტო.



# ალამი დაეშვა

### სსრ კავშირის 46-ე პირველობა ჭადრაკში დამთავრდა

**დასკვნით**, XVII ტურში მონაწილეთა ძირითად ბირთვს გამარჯვება ჰქონდა მიზნად. ყაიმი ხელს აძლევდა მხოლოდ ორ მონაწილეს: ტალს, რომელიც ყაიმით უარეს შემთხვევაში პირველ ადგილს გაიყოფდა და ოქროს მედალს სხვაც მიიღებდა, კასპაროვს, რომელსაც ეს შედეგი უმაღლეს ლიგაში სტოვებდა, გ. კუზმინსა და ა. მიხალჩიშინს კი არაფერი შეეცვლებოდათ: პირველი მაინც ბოლო ადგილზე დარჩებოდა, მეორე — პირველ ლიგაში. ამიტომ მათს პარტიებში არც ყოფილა ვნებათაღელვა. მეტოქეები ძალე დაზავდნენ.

სხვა მონაწილენი ჩემპიონატის დამამთავრებელ პარტიაში მთელ თავის ცოდნას, სპორტულ აზარტს აქსოვდნენ. თუ რამდენად უშეღავათო იყო მათი ბრძოლა, ეს იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ მაგალითად, ვ. ტუკმაკოვი გამარჯვების შემთხვევაში შეიძლება უმაღლეს ლიგაში დარჩენილიყო, ყაიმის დროს — პირველ ლიგაში, ხოლო დამარცხებისას — ამ გამოჩენილ დიდოსტატს გზა 47-ე ჩემპიონატისკენ საკავშირო მასობრივი ტურნირიდან უნდა დაეწყო. აი ასეთ სიტუაციაში აიღო სტარტი ბოლო ტურმა.

ყურადღების ცენტრში ორი შეხვედრა იყო: თ. გიორგაძე — ლ. პოლუგაევსკი და ი. დორფმანი — ვ. ცეშკოვსკი. ამ პარტიებში წყდებოდა ყველა ლირებულების მედლის ბედი.

გიორგაძე — პოლუგაევსკის პარტიაში, რომელიც სიცილიური დაცვით დაიწყო, სადებიუტო უპირატესობა ქართველმა მოჭადრაკემ მოიპოვა. სწორედ ამ დროს კულუარებში გავრცელდა ხმა, რომ მე-16 სვლაზე პოლუგაევსკიმ მოწინააღმდეგეს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ გიორგაძემ არ მიიღო იგი, გამარჯვების შემთხვევაში თბილისელი დიდოსტატი ბრინჯაოს მედალს დაეუფლებოდა. როცა გიორგაძეს მოგების რეალური შანსი ჰქონდა, მან იჩქარა და პოლუგაევსკიმ მატერიალური მსხვერპლის გაღებით მძლავრი კონტრთამაში მიიღო. პოლუგაევსკის ფიგურების აქტიურობამ გაანეიტრალა მატერიალური დანაკლისი, პარტია გადაიდო, მაგრამ გვიან საღამოს ანალიზით მეტოქენი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პოზიცია თანაბარია. ყაიმი.

ამ დღეს დაუმთავრებელი დარჩა მხოლოდ დორფმან-ცეშკოვსკის შეხვედრა. უპირატესობას დორფმანი დაეუფლა, მაგრამ ცეშკოვსკი დიდი შეუპოვრობით ცდილობდა თამაშის გართულებას. ეს გასაგებიცაა, რადგან თუ მოიგებდა, ტალს დაეწეოდა. მოგება დორფმანსაც სჭირდებოდა, რადგან ამით იგი პირველ ლიგაში დარჩებოდა. ორმხრივ ცაიტნოტში პარტია მძაფრად მიმდინარეობდა, ხოლო გუშინ დილით იგი ცეშკოვსკის გამარჯვებით დამთავრდა.

ე. სვეშნიკოვმა მოუგო ო. რომანიშინს, გ. ტიმოშჩენკომ — ტუკმაკოვს. დანარჩენ პარტიებში მეტოქეებმა ქულები გაიყვეს.

(დასასრული მე-2 გვ.).





# ალამი დაეშვა





ხურათებზე: მ. ტალი, ვ. ცეშკოვსკი, ლ. პოლუგაევსკი, თ. გიორგაძე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## დასასრული

ამრიგად, ქვეყნის 46-ე ჩემპიონატი დამთავრდა. აი, მისი შედეგებიც: მ. ტალი, ვ. ცეშკოვსკი — 11-11 ქულა, ლ. პოლუგაევსკი — 10, თ. გიორგაძე — 9,5, ე. გელერი, ა. ბელიავსკი, ო. რომანიშინი, ე. სვეშნიკოვი — 9-9, გ. კასპაროვი 8,5 (ეს მოჭადრაკეები 47-ე ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ), ვ. ბაგიროვი, ს. მაკარიჩევი, გ. ტიმოშჩენკო, ბ. გულკო — 8-8, ა. მიხალჩიშინი, ი. რაზუვაევი — 7,5-7,5 (ეს მოჭადრაკეები პირველ ლიგაში მიიღებენ მონაწილეობას), ვ. ტუკმაკოვი — 7,5, ი. დორფმანი — 6,5, გ. კუზმინი — 6 (სამივემ 47-ე ჩემპიონატში თამაშის უფლება რომ მოიპოვოს, ბრძოლა საკავშირო მასობრივი ტურნირიდან უნდა დაიწყოს).

შეჯიბრების დებულებით ორივეს, ტალსა და ცეშკოვსკის, ჩემპიონის სახელი მიენიჭა. ტალი მეექვსედ გახდა ჩემპიონი, ცეშკოვსკი — პირველად.

ორ მონაწილეს — ტალსა და გიორგაძეს ჩემპიონატში პარტია არ წაუგიათ. საერთაშორისო დიდოსტატმა გიორგაძემ საბჭოთა დიდოსტატის წოდების მისაღებად მისი პირველი ბალის ნორმატივი შეასრულა. თბილისელი მოჭადრაკის წარმატება ჩემპიონატის სასიამოვნო მოულოდნელობაა და უდაოდ ყველაზე უკეთესი შედეგია, რომელიც საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს მოჭადრაკე ვაჟს მოუპოვებია.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა 15 წლის კასპაროვის თამაშმა. ნათელია, რომ მისი სახით საბჭოთა საჭადრაკო სკოლას საიმედო შევსება ჰყავს. ეჭვგარეშეა, რომ უახლოეს დროში კასპაროვი დიდოსტატის წოდებას მოიპოვებს. მისი მწვრთნელი, ოსტატი ა. ნიკიტინი დარწმუნებულია, რომ 5 წლის შემდეგ კასპაროვი მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტი იქნება. შესაძლებელია. მართლაც, გარის მიღწევები გვაგონებს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის რ. ფიშერის ტრიუმფალურ წინსვლას ჭაბუკობის წლებში.

**ვ. მიქენასი,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

**გუშინ** საღამოს ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ დაიხურა სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, თბილისის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. რიგვავამ.

შეჯიბრების სპორტულ-შემოქმედებითს შედეგებზე ილაპარაკა ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. მიქენასმა.

შემდეგ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სახელით სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორმა ი. ლიაპუნოვმა ჩემპიონის ოქროს მედლები გადასცა მ. ტალსა და ვ. ცეშკოვსკის, ბრინჯაოსი — ლ. პოლუგაევსკის. დანარჩენმა პრიზიორებმა სიგელები მიიღეს.

ჩემპიონატის მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს მოჭადრაკეთა დავალებით საერთაშორისო არბიტრი თ. გიორგაძე, თბილისის საზოგადოებრიობის სახელით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბერიძე.

გულითადი მასპინძლობისათვის მონაწილეთა სახელით სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონმა მ. ტალმა.

თბილისის საწარმოო-დაწესებულებებმა მონაწილეთათვის სხვადასხვა სპეციალური ჯილდო დააწესეს. ჩემპიონატის მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ე. ნუზმა უხელმძღვანელა ამ პრიზების გადაცემას.

სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატის ალამი დაეშვა...

---

### მწვრთნელის ლაბორატორია

# ახალი ილეთი

**სიახლეებს** სპორტის ნებისმიერ სახეობაში და მათ შორის ჭიდაობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მსოფლიოს ერთ-ერთ ჩემპიონატში სომეხმა ფალავანმა ნელსონ დავიდიანმა მანამდე უცნობი ილეთი გამოიყენა — უკუშემობრუნებით ზურგიდან გდება ორივე ხელით გვერდიდან მოწინააღმდეგის ხელის ჩავლებით. ამან დავიდიანს საშუალება მისცა შედარებით იოლად მოეპოვებინა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული — მეტოქენი აშკარად არ იყვნენ მზად მისი შეტევების მოსაგერიებლად. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ახალი ილეთი, რომლითაც ალექსანდრე ივანიცკი ეფექტურად ანარცხებდა ხალიჩაზე მეტოქეებს. ახლა ამ ფონდს ბევრი ცნობილი მოჭიდავე იყენებს.

შემოქმედებითი ძიება, ახალი ილეთების შემუშავება დღესაც გრძელდება. ეს ამდიდრებს, უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის ჭიდაობას.

ჩვენ შევიმუშავეთ და დღეს მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს ახალი ილეთი — მოგრეხვა ზემოდან (წინიდან) ნიკაპში ჩავლებით.

საწყისი მდგომარეობა ჩვეულებრივია. შემტევი იჭერს მოწინააღმდეგის თავს ზემოდან (წინიდან) ქვედა ყბის ჩავლებით (სურათი 1). ამასთან ერთად, საჭიროა შემტევმა თავი მჭიდროდ მიაყრდნოს მეტოქის თავს (სურათი 2). შემდეგ ორივე ფეხი გააქვს უკან და ერთდროულად სახით მოწინააღმდეგისკენ ბრუნდება (სურათი 3).

შემობრუნების დროს შემტევი თავისუფალი ხელით ლეიბს ეყრდნობა, ერთდროულად ჯდება (სურათი 4) და აგრძელებს მეტოქის კისრის მოგრეხვას, შემდეგ წამოუვლის ზურგზე დასაცემად გამზადებულ მოჭიდავეს (სურათი 5) და მხრებზე ჩავლებით ხალიჩაზე ბეჭებით აკრავს (სურათი 6).

თავისუფალ ჭიდაობაში ანალოგიური საწყისი მდგომარეობიდან შეიძლება განხორციელდეს უფრო ეფექტური გაგრძელება: ფეხების უკან გატანის მომენტში შემტევი თავისუფალი ხელით იჭერს მეტოქის შესაბამის ფეხის ქუსლებს (სურათი 7) და მიიზიდავს შებოჭილი ყბისკენ (სურათი 8). ამ მდგომარეობაში წინააღმდეგობის გაწევა თითქმის შეუძლებელია. მეტოქე იძაბება და თავზე წინ გადაგორდება (სურათი 9). წმინდა მოგების ფიქსირებისთვის შემტევი შემოუვლის მოწინააღმდეგეს და ილეთს ამთავრებს (სურათი 10).

ამ ილეთის შესწავლა დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ილეთის ჩატარება მიზანშეწონილია პირველ პერიოდში (როცა მეტოქე გაოფლიანებული არ არის და შეიძლება საიმედო ჩავლების განხორციელება), ან მომდევნო პერიოდების დასაწყისში.

ჩავლება უნდა განხორციელდეს სწრაფად, გაბედულად და ილეთი ასევე სწრაფ ტემპში უნდა გაგრძელდეს, რომ მოწინააღმდეგემ თავისუფალი ხელით შებოჭილი ნიკაპის განთავისუფლება ვერ მოასწროს.

**ო. რევიშვილი,**
**თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი, სპორტის ოსტატი.**



---

# თქვენ რას იტყვით?

### პიმოლოგია

**მომავალი** თაობის ფიზიკურ აღზრდას დღეს ისეთი ყურადღება ექცევა, როგორც არასდროს. მას გარკვეული დრო აქვს დათმობილი საშუალო სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ყველგან, სადაც კი სწავლობს და შრომობს ახალგაზრდობა. ამას გარდა, ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას სპორტსკოლები ფართოდ უღებენ კარს ათასობით მოზარდს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისში საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა, გაიზარდა სპორტსკოლების რიცხვიც, მაგრამ საკმარისი მაინც არაა. რა ქნან იმ ბავშვებმა, რომელთაც ძალიან უნდათ იარონ სპორტსკოლაში, დაეუფლონ სპორტის რომელიმე სახეობას, მაგრამ ხელს არ უწყობთ ფიზიკური მონაცემები. მითუმეტეს, თუ სპორტსკოლებში მიღება შერჩევით ხდება.

არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე იმ დიდი სიხარულისა, რომელსაც ბავშვი გამოხატავს სპორტსკოლაში მიღებისას. რომელ მოზარდს არ უნდა გაიზარდოს ძლიერი, ჯანმრთელი და, საერთოდ, ყოველმხრივ განვითარებული. მწვრთნელები კი მსურველებიდან არჩევენ ყველაზე „ძლიერებს". „სუსტები" კი თვალცრემლიანნი ბრუნდებიან უკან. ჩვენც სწორედ მათი ბედი გვაინტერესებს და გვაწუხებს. კარგი იქნებოდა, რომ სპორტსკოლებში ყველას ღებულობდნენ. მაგრამ მათაც ხომ თავიანთი გეგმები აქვთ და... ხშირად, ისეც ხდება, რომ ამა თუ იმ მოზარდს პერსპექტიულად თვლიან. ბოლოს, გადის წლები და აღმოჩნდება, რომ მათზე თურმე ამაოდ ამყარებდნენ იმედებს. ეგეც არ იყოს, არც თუ ისე იშვიათად, იმ „სუსტებს" შორის იმალება ტალანტი.

ამის დასტურად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ რამდენიმეც საკმარისი იქნება: ამერიკელი ზანგი მორბენალი ვილმა რუდოლფი ბავშვობაში თერთმეტ წლამდე ვერ დადიოდა. — ორივე ფეხის დამბლა ჰქონდა. მხოლოდ ვარჯიშის წყალობით დაიწყო სიარული, შემდეგ რბენა, ბოლოს კი ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა მძლეოსნობაში. გავიხსენოთ ამირან ხიზანიშვილის წარსული. ბავშობაში ფიზიკურად ძალზე სუსტი იყო. 16 წლისა „პროტექციით" კრივის სექციაში მიიღეს. მაგისაგან არაფერი გამოვაო, — ამბობდნენ. ახლა კი ამირანი საბჭოთა კავშირის ჩემპიონია. თინა ლეკვეიშვილიც ბავშვობაში ძალზე სუსტი იყო. ხშირად ცივდებოდა. მერე ცურვაში დაიწყო ვარჯიში. ცისფერ ბილიკებზე ევროპის თასიც მოიგო და კონტინენტის რეკორდიც დაამყარა.

რა თქმა უნდა, ყველა ჩემპიონი ვერ გახდება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი უპირველესი მიზანი, საერთოდ სპორტის მიზანი ხომ ჯანსაღი თაობის აღზრდაა. ეგეც არ იყოს, ბევრი მოზარდი, ჩემპიონობაზე თუ არა, მწვრთნელისა თუ ფიზკულტურის მასწავლებლის პროფესიაზეც ოცნებობს. სპორტული სექციის გარეშე კი ვერც ჩემპიონი გახდება, ვერც მწვრთნელი და ვერც მასწავლებელი. ჩვენ არა მარტო სახელოვანი სპორტსმენები გვჭირდება, არამედ ფიზკულტურული მუშაკებიც.

ხომ არ აჯობებდა, სპორტსკოლებში შეძლებისდაგვარად ყველა მსურველი ჩაგვერიცხა. განსაზღვრული პერიოდისთვის ყოველ მათგანს საშუალება ექნება მეტნაკლებად გამოამჟღავნონ თავიანთი შესაძლებლობა. ეს საშუალებას მოგვცემს ნაკლებად დავუშვათ შეცდომები საუკეთესოთა შერჩევაში.

თქვენ რას იტყვით, მწვრთნელებო, ფიზკულტურის მასწავლებლებო, სპეციალისტებო?

**კ. სალუქვაძე.**

---

# საქართველოს სპორტკომიტეტის პრიზზე

თბილისის სპორტულ ბაზებზე გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის პრიზის ღია გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდის, ტექნიკურ სახეობებში (ფარიკაობა, საცხენოსნო სპორტი და სროლა). ასპარეზობაში საქართველოს ნაკრებთან, „დინამოს", „ბურევესტნიკისა" და „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოების გუნდებთან ერთად ბელორუსიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის (2) კოლექტივები ჩაებნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სომხეთის პირველმა ნაკრებმა — 11730 ქულა, II ადგილზე საქართველოს ნაკრებმა 10 ქულით ნაკლები მოაგროვა, III ადგილზეა სომხეთის მეორე გუნდი — 10536 ქ.

პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო საქართველოს ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი მ. ნოვოსელცევი (5042 ქ.). II ადგილზე გავიდა თბილისელი სპორტსმენი თ. ახალშენიშვილი (4974), III იყო სომხეთის პირველი გუნდის წარმომადგენელი ა. ოგანესიანი — 4930. ცალკეულ სახეობებში გაიმარჯვეს: თ. ახალშენიშვილმა (ფარიკაობა), ს. აღლაძემ (საცხენოსნო სპორტი, სომხეთის პირველი ნაკრები) და ს. მაკაროვმა (სროლა, „დინამო").

**გ. ამირიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული

საღამოს ოფიციალურად ხსნის თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე **ბახვა ლომჯანიძე**, რომელიც გულთბილად მიესალმება ჩემპიონებს.

მიკროფონთანაა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ლენინური სტიპენდიანტი **პაატა ბოლაშვილი**. მას ცვლის საკავშირო პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე **ვიქტორ ასაულოვი**, რომელიც მიესალმება თბილისელებს და გადასცემს პირველად გათამაშებულ პრიზს „გუნდთან ერთად“. საპატიო ჯილდოს იბარებს სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ბორის პაიჭაძე**. ძველი ვეტერანი გამოთქვამს სურვილს, რომ ამ ჯილდოს მისი პირველი მფლობელები ხელიდან არ გაუშვებენ.

თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი **ვლადიმერ ასათიანი** მიესალმება დინამოელებს და სამახსოვრო ჰედურ ნამუშევარს უძღვნის.

საქართველოს სახელმწიფო ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელები სსრ კავშირის სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები **ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი**) ჩვეული ოსტატობით ასრულებს ქართულ ცეკვებს, რომელთაგან ამ საღამოს განსაკუთრებული წარმატება ხვდა სპორტულ ცეკვას „ლელოს“.

დარბაზში მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეთა დელეგაცია შემოდის. სოციალისტური შრომის გმირები (ასეთები კი კოლმეურნეობაში 23 კაცია) **ივანე გორგილაძე და დიმიტრი ბაქრაძე** ახალ-ახალ გამარჯვებებს უსურვებენ ფეხბურთის მინდვრების გმირებს და საჩუქრებს გადასცემენ მათ.

საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის დავალებით გამოდის რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სოფლის მშენებლობის მინისტრი **იოსებ ხარატიშვილი**. იგი „დინამოს“ გუნდს საკავშირო სპორტკომიტეტის (საუკეთესო შედეგისათვის ორივე შემადგენლობით) გარდამავალ თასს გადასცემს.

დარბაზში კინოეკრანი ინთება. პირველი მაისის რაიონის კინომოყვარულები მაყურებლებს უჩვენებენ მათ მიერ შექმნილ ნამუშევარს „ერთი საათი დინამოელებთან“. ფილი საკმაოდ საინტერესოდ არის გადაღებული და კარგი იუმორით დაწერილი გახმოვანება ახლავს. მისი ავტორი ქართლოს კასრაძე თვითონვე ახმოვანებს ფილმს და დარბაზში გამუდმებულ სიცილს იწვევს.

...ისევ და ისევ გულთბილი მისალმებანი. აქვე არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის წარმომადგენელი, სსრ კავშირის გმირი, გენერალ-მაიორი **ალექსი პილნიკოვი** ახალ ჩემპიონს გადასცემს სახელოვანი საბჭოთა ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გრიგოლ ფედოტოვის გარდამავალ პრიზს (ყველაზე მეტი გატანილი ბურთისთვის)...

დარბაზში „მრავალჟამიერი“ გაისმის. მღერის ვოკალური ანსამბლი „გურჯაანი“. შემოდიან გურჯაანელი მევენახეები, რომლებიც კახეთის მადლიანი მიწის ნობათს უძღვნიან დინამოელებს.

— ჩვენ ბევრ ყურძენს მოვიყვანთ, თქვენ კი ევროპის თასი აიღეთ! — ეუბნებიან პატარა კახელი ბიჭუნები „ძია ნოდარს“ და „ძია მანუჩარს“ და მთელს გუნდთან ერთად გურჯაანში ეპატიჟებიან.



# ოქროს მედლები — ჩემპიონებს

...იწყება ფეხბურთელთა დაჯილდოება ოქროს მედლებით.

— თბილისის დინამოელებმა დამსახურებულად მოიპოვეს ოქროს მედლები. მაგრამ ეს მხოლოდ მათი დამსახურება კი არაა, არამედ გუნდის ყველა გულშემატკივრის — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **პეტრე ბოგდანოვმა** — 1979 წელი სასპარტაკიადოა, ხოლო მისი მომდევნო — ოლიმპიური წელია. ეს, ცხადია, არც ფეხბურთელებმა უნდა დაივიწყონ და ამთავითვე იზრუნონ თამაშის კლასის ამაღლებისთვის. ვუსურვებ ქართველ ფეხბურთელებს შემდგომშიც იყვნენ მიზეზნი ასეთი ზეიმებისა.

შემდგომ პ. ბოგდანოვმა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან **სერგო ჯაიანთან** ერთად დინამოელებს ჩემპიონების ოქროს მედლები, გარდამავალი თასები, საკავშირო სპორტკომიტეტის დიპლომები და ვიმპელები გადასცა. ოქროს მედლები გადაეცათ აგრეთვე მწვრთნელებს **ნოდარ ახალკაცსა და კახი ასათიანს**. საკავშირო სპორტკომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ მწვრთნელი **სერგო კუტივაძე**, გუნდის ექიმი **ზაქრო თელია**, მასაჟისტი **ანზორ გაბიტაშვილი**, ადმინისტრატორი **თენგიზ მაჭავარიანი**.

მცირე ოქროს მედლები მიიღეს სათადარიგო შემადგენლობის ფეხბურთელებმა **ოთარ გაბელიამ, იური მამინაშვილმა, გიორგი ჭილაიამ, ტარიელ დურდიაძემ, ვლადიმერ ახობაძემ, გია ჯოხაძემ, ნუგზარ კაკილაშვილმა, ნესტორ მუმლაძემ, ნოდარ ბაზაზაშვილმა, ამირან მინაშვილმა, ვახტანგ კოპალეიშვილმა, დიმიტრი ობოლაძემ, დავით მუჯირმა, რევაზ ჩელებაძემ**. საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელები მიიღეს **ილია რუხაძემ, თენგიზ სულაქველიძემ, გია თავაძემ**, მწვრთნელმა ფიზმომზადებაში **აკაკი ხუციშვილმა**.

— ეს გამარჯვება ყველამ ერთად მოიპოვეთ: გუნდმა, მაყურებელმა, რესპუბლიკის სპორტულმა ორგანიზაციებმა, ჩვენმა პარტიულმა თუ საბჭოთა ორგანოებმა — თქვა საღამოს დასასრულს თბილისის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა **ნოდარ ახალკაცმა**, მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ მწვერვალები უკვე დაპყრობილია. წინ ძნელი სეზონი გველის — საკავშირო ჩემპიონატი და ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება. დინამოელთა სურვილია ისე ვითამაშოთ, რომ ნამდვილი სიამოვნება მივანიჭოთ ჩვენი გუნდის გულშემატკივრებს.

...თბილისის სპორტის სასახლის თაღებქვეშ კვლავ ისმის სიმღერა. ოქროს მედლებით მკერდდამშვენებულნი — 1978 წლის ჩემპიონები, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები საპატიო წრეს უვლიან სარბიელს.

ო. ნოზაძე.

* * *





მოდიან ქართველი ფეხბურთელები — საბჭოთა კავშირის ახალი ჩემპიონები; ნატანებელმა კოლმეურნეებმა დინამოელებს ნარინჯოვანი ციტრუსები მიართვეს; ნორჩ გურჯაანელებს კახეთის მიწის ბარაქა მოაქვთ; მოელვარე ოქროს მედლები ჯერ მომხიბლავ გოგონათა ხელთაა; ნოდარ ახალკაცი იღებს გ. ფედოტოვის პრიზს; ჩემპიონის მედალი — დავით ყიფიანს.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.







# ლაპარაკობენ ზეიმის მონაწილენი

თბილისის სპორტის სასახლეში დინამოელთა დაჯილდოების ზეიმზე ჩვენი კორესპონდენტები გაესაუბრნენ საღამოს მონაწილეებს. აი, რა თქვეს მათ...

სპორტის დამსახურებული ოსტატი **გაიოზ ჯეჯელავა**:

— დიდი საბჭოთა ფეხბურთის ადრეულ პერიოდში თბილისის „დინამო“ საკავშირო გათამაშებებში ორჯერ გავიდა მეორე ადგილზე. 1941 წლის სეზონში ვლიდერობდით ჩემპიონატს, მაგრამ დაიწყო დიდი სამამულო ომი...

მოხარული ვარ, რომ ჩვენი მშობლიური გუნდის ახლანდელმა თაობამ შეძლო იმის გაკეთება, რაზეც მე და ჩემი ამხანაგები წლების მანძილზე ვოცნებობდით — საბჭოთა კავშირის ჩემპიონების ოქროს მედლებისა და ბროლის თასის მოპოვება.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ნინო რამიშვილი**:

— ქართული ფეხბურთის ძველი მოყვარული ვარ. ჩვენი ბიჭების (რომელთა შორის, ბუნებრივია, განსაკუთრებით ჩემს ძმას ვახტანგ რამიშვილს ვგულშემატკივრობდი) მატჩებს ვესწრებოდი ჯერ კიდევ „დინამოს“ ძველ სტადიონზე, პლეხანოვის პროსპექტზე. ძალიან მომწონდა ზიდ-ს გუნდის თამაში.

ახლა მატჩებს მეტწილად ტელევიზიით ვუყურებ. დინამოელებმა ბევრი სიხარული განგვაცდევინეს, თუმცა ერთხელ („ჩერნომორეცთან“ შეხვედრაში გასულ წელს), რომელსაც ვიგებდით 3:0 და ოდესელებმა სამივე გოლი გაქვითეს, ისე ვინერვიულეთ, რომ მე და ილიკოს ვალიდოლი დაგვჭირდა...

„ნორჩი დინამოელის“ მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **სერგო კოტრიკაძე**:

— ზუსტად 14 წლის წინათ ამავე სასახლეში მოცეკვავეთა სახელმწიფო ანსამბლის სოლისტმა ნინო კიკვაძემ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი გადმომცა და ეს საპატიო ჯილდო ჩემი ოთახის სპორტული კუთხის მთავარი ექსპონატია დღესაც. ჩემპიონობის მოპოვებისთვის „დინამოს“ 25 სეზონი დასჭირდა, ახალმა თაობამ კი თითქმის გაანახევრა ეს ვადა. მაგრამ, ვფიქრობ, დღეს ასეთი ტემპიც აღარ აკმაყოფილებს ჩვენს გულშემატკივრებს. მეც ერთი მათგანი ვარ და ჩვენს გუნდს ყოველთვის ჩემპიონობას ვუსურვებ. სულ მალე ალბათ ამაში ჩემი მოწაფეებიც დაეხმარებიან — ისინი სწორედ იმ წელს დაიბადნენ, ჩვენ რომ ოქროს მედლები პირველად მივიღეთ.

საქართველოს ფილარმონიის საესტრადო სამმართველოს მთავარი რეჟისორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ავთანდილ გელოვანი**:

— დინამოელებმა უკანასკნელ წლებში ბევრი სიხარული მოგვანიჭეს — ბროლის თასი, ბრინჯაოს, ვერცხლის, ახლა კი ოქროს მედლები. მათი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაცაა, მთელი ქართველი ხალხის გამარჯვება. ვფიქრობ, მომავალშიც არაერთ გამარჯვებას მოგვიტანენ ჩვენი ბიჭები, ხელოვნების მუშაკები კი ახალ სიმღერებს, ცეკვებსა და საესტრადო ნომრებს მოამზადებენ თბილისის „დინამოზე“, რომელთანაც დიდი და ძველი მეგობრობა გვაქვს.

გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირი, უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსის სტუდენტი **სანდრო გეთიაშვილი**:

— თბილისის „დინამო“ წელს ორჯერ გვეწვია გურჯაანელებს. მართალია, ჩვენმა „ალაზანმა“ მასთან ძალიან დიდი ანგარიშით წააგო, მაგრამ მოგებულნი მაინც ჩვენ დავრჩით — ახლოს გავიცანით და დავმეგობრდით დინამოელებთან. ეს შეხვედრები მართლაც ბედნიერი გამოდგა: ჩვენ კარგი მოსავალი მოვიწიეთ, მათ კი — ოქროს მედლები.

ახალ სეზონში „დინამოს“ ვუსურვებდი ეს ტრიუმფი გაემეორებინოს, კახელებს კი ბეჯით შრომასთან ერთად ისღა დაგვრჩება, ჩვენებური „გურჯაანითა“ და „მუკუზნით“ ავავსოთ ბროლის თასი...

სპორტის დამსახურებული ოსტატი **გავრილ კაჩალინი**:

— მე, როგორც თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი ერთგული თაყვანისმცემელი, გულითადად ვულოცავ გუნდის ხელმძღვანელობასა და მოთამაშეებს ამ დამსახურებულ გამარჯვებას. კაცმა რომ თქვას, გასაკვირი აქ არაფერია, ჯერ იყო „ბროლი“, „ბრინჯაო“, „ვერცხლი“... თბილისის „დინამო“ საინტერესო კოლექტივია, იგი თვითმყობად, შემტევ, ტექნიკურ თამაშს აჩვენებს, გააჩნია იმპროვიზაციის უნარი, რისთვისაც ასე უყვართ სტადიონებზე. ჩემი აზრით, „დინამოში“ დღეს 1964 წლის შემადგენლობასთან შედარებით ნაკლებად არიან ფეხბურთის ვარსკვლავები, მაგრამ გუნდი ახლა უფრო მებრძოლია, მეტად კომბინაციური და გაცილებით უფრო დისციპლინირებული. ვუსურვებ ქართველ დინამოელებს ასევე წარმატებით ებრძოლოთ ევროპულ ტურნირებშიც!

## „ლელო“ ინტერვიუ



# მოკრივეს მეტი მოეთხოვება

**სახელოვან სპორტსმენს, ევროპის ჩემპიონს კრივში, დავით კვაჭაძეს შეხვდა და ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი ედიშერ გიორგაძე. გთავაზობთ მის ინტერვიუს ტყავის ხელთათმანის ქართველ ოსტატთან.**

**— დავით, საქართველოში არ არსებობს კრივის მოყვარული, ვისაც არ აინტერესებდეს თქვენი გეგმები თუ თქვენი მოსაზრებები სპორტის ამ სახეობის შესახებ და მათი სახელით გეკითხებით, როგორ გესახებათ საკუთარი პერსპექტივა რინგზე?**

— მაყურებელმა, ვინ იცის, გადამივიწყა კიდეც, მე კი სისტემატურად ვვარჯიშობ, ვირიცხები ჩვენი ქვეყნის ნაკრებში და სწორედ ახლახან გამოვედი დონეცკში გამართულ შეჯიბრებაზე, სადაც ზედიზედ სამი გამარჯვება მოვიპოვე.

**— კმაყოფილი ხართ თქვენი გამოსვლებით?**

— უნდა ითქვას, რომ არცთუ იოლი მეტოქეები შემხვდა, მაგრამ სამი შეხვედრიდან ყველა მოვიგე. ერთ-ერთი ბრძოლისას ასეთი კურიოზი მოხდა: ჩემმა მოწინააღმდეგემ, რომელიც საერთოდ ურიგოდ არ იბრძოდა, ისე უხერხულად მოიქნია ხელი, რომ მსაჯს უთუოდ გაფრთხილება უნდა მიეცა მისთვის, შევყოვნდი, მსაჯს გავხედე მან კი დათვლა იწყო ჩემი მისამართით. გული მომივიდა და... ბრძოლა აშკარა უპირატესობით მოვიგე.

**— რამდენადაც ვიცი, თბილისში გამართული საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ ეს თქვენი პირველი გამოსვლა იყო...**

— დიახ, მანამდე გულმოდგინედ ვვარჯიშობდი, თანაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა დიდად მნიშვნელოვანი ამბავი — ვაჟი შემეძინა.

**— დიდი სიხარული გწვევიათ, მაგრამ... ახალი საზრუნავი ხომ არ გამოიწვევს თქვენს დაშორებას რინგთან...**

— არა. მე კარგა ხანს არ ვაპირებ ხელთათმანების ლურსმანზე დაკიდებას. განზრახული მაქვს მონაწილეობა მივიღო დიდ ტურნირებში, რომლებიც გაიმართება ჩვენში — ალმა-ათასა და უცხოეთში — ინდონეზიაში. ეს იქნება სერიოზული გამოცდა ევროპის ჩემპიონატის წინ, სადაც უთუოდ მივიღებ მონაწილეობას.

**— კრივის მოყვარულთ დღესაც ვერ აუხსნიათ თქვენი წარუმატებლობა თბილისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე. უნდა ითქვას, რომ ფინალური შეხვედრისას კლიმანოვმა გამარჯვების სასწორი თავისკენ მხოლოდ მესამე რაუნდში გადახარა, ისიც მარტოოდენ აქტიურობის ხარჯზე. რა იყო ამის მიზეზი? იქნებ ზედმეტად ჭარბად ისარგებლეთ თქვენთვის ჩვეული დაცვითი ხერხით?**

— ჩემი წარუმატებლობის მიზეზი ორი ფსიქოლოგიური ფაქტორი გახლდათ. ჯერ ერთი, ჩემპიონს ყველა თავგამოდებით ებრძვის, რადგან დასაკარგავი სწორედ ჩემპიონს აქვს და არა მეტოქეს. ისიც უნდა ითქვას, რომ მშობლიურ ქალაქში რინგზე გამოსვლას თავისი სირთულეებიც ახლავს — დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა... მე ვცდილობდი აკადემიურად ამეგო ბრძოლა, მეჩვენებინა ჩემი ტექნიკური არსენალი, მაგრამ მეტისმეტმა გულმოდგინებამ გამოიწვია ის, რომ კონტრშეტევები ბრძოლის დასასრულს ჯეროვნად ვერ განვავითარე...

**— მოგეხსენებათ, რომ რინგზე მრავალჭირნახად მოკრივესათვის გარკვეული ტრავმებია დამახასიათებელი. განსაკუთრებით გავრცელებულია თითების ქრონიკული დაზიანება, ეგრეთ წოდებული ბენეტის მოტეხილობა. ზემოხსენებული დაავადება მთელი თავისი საბრძოლო კარიერის მანძილზე ხელს უშლიდა დიდ უნგრელ მოკრივეს ლასლო პაპს. თქვენ როგორა გაქვთ ამ მხრივ საქმე?**

— იმდენხანს დავყავი რინგზე, რომ ბენეტის მოტეხილობა რაღა თქმა უნდა არ ამცდებოდა, მაგრამ ვცდილობდი მატჩების დროს ამისათვის ყურადღება არ მიმექცია და ამას ვაღწევდი კიდეც...

**— როგორ ეგუებოდნენ ოჯახში თქვენს გატაცებას კრივით?**

— ისე მიყვარდა კრივი, რომ დედას სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა დაეთმო. თანაც ოჯახში ამ მხრივ დიდი მხარდამჭერი მყავდა — უფროსი ძმა, რომელიც თვითონაც ვარჯიშობდა, ახლა კი წარმატებით ეწევა საწვრთნელ მუშაობას. რაც შეეხება დღევანდელ ოჯახურ ვითარებას, არც ამ მხრივ მაქვს ცუდად საქმე. ჩემს მეუღლეს მოსწონს სპორტის ეს სახეობა და, წარმოიდგინეთ, შესანიშნავადაც ერკვევა მასში. ეს ალბათ გარკვეულად ჩემი, უმეტესად კი მისი მამის შოთა გორგაძის დამსახურებაა, რომელიც, დიდი მოყვარულია კრივისა და ემსახურება კიდეც საქართველოში მისი განვითარების საქმეს.

**— კრივის ქართველ მოყვარულებს იმედი გვაქვს, რომ არაერთხელ ვიხილავთ თქვენს სამახსოვრო გამოსვლებს რინგზე, მაგრამ ბოლოს ალბათ მოაწევს დრო სპორტთან დამშვიდობებისა...**

— არც შემდგომში ვაპირებ კრივთან განშორებას. მინდა პედაგოგიურ ასპარეზზე ვცადო ბედი. მე თავად არ გახლდით მწვრთნელებით განებივრებული. ისიც უნდა ითქვას: სამწუხაროდ, ბევრი ურიგო მწვრთნელი მინახავს, რომლებიც მოკრივეებს ზერელედ ავარჯიშებდნენ, ასე განსაჯეთ, თვლემდნენ კიდეც დარბაზში და რაც მე დამაკლდა, მსურს ათმაგად მივუზღო ჩემს მომავალ აღსაზრდელებს.

**— ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის დიდ მოკრივედ?**

— ძველ მოკრივეთაგან ჯო ლუისი. მასზე ბევრი წამიკითხავს, არსებობს მისი ბრძოლების დაწვრილებითი აღწერილობა, ფირებიც. იგი მართლაც განუმეორებელი მოკრივე იყო. ჩვენს დროში კი რინგის მეფედ, რაღა თქმა უნდა, მუჰამედ ალი მიმაჩნია. ალი ნამდვილი ესთეტია — მისთვის კრივი მუშტიკრივი როდია, მისი მიზანი არც მოწინააღმდეგის ფიზიკურად დათრგუნვა გახლავთ. იგი უებრო ტაქტიკოსია, გონივრულად აგებს ბრძოლას და ამით დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მაყურებელს. მუჰამედ ალის აქვს სხეულის მოხდენილი მიმოხვრის თანშობილი უნარიც, ეს კი ყოველი სპორტსმენის აუცილებელი თვისება უნდა იყოს. როცა ურონს იქნევს, თვით კარგი მჭედელიც კი ცდილობს გარკვეული სილამაზე ჩააქსოვოს ამ მოძრაობაში. მოკრივეს, რაღა თქმა უნდა, მეტი მოეთხოვება...

## თხილამურები

[illegible] — ყველაზე მოთხილამურეთა [illegible] ზამთრის სპორტული [illegible] კალენდარი. ფაქტიურად, ყველა სტარტი ძომავალი XIII „თეთრი ოლიმპიადისთვის“ მზადების ნიშნით ტარდება, მაგრამ სპორტსმენები მაინც დიდ ყურადღებას უთმობენ მსოფლიო ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებს, რომლებიც დეკემბრის დამლევს დაიწყება და მარტამდე გასტანს.

30 დეკემბერს დასავლეთ გერმანიაში, ობერსტდორფის ტრამპლინზე გაიმართება „მფრინავ მოთხილამურეთა“ საახალწლო, ოთხი ტრამპლინის ტურნირის პირველი შეჯიბრება. ამ ასპარეზობის კანდიდატების შესარჩევად საბჭოთა სპორტსმენებმა ნიჟნი ტაგილსა და გორკში ორი ასპარეზობა გამართეს. გორკში ყველას აჯობა ი. ივანოვმა (პეტროზავოდსკი), რომელმაც 244,4 ქულა მოაგროვა (ნახტომები 95 და 100 მ.). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ი. კალინინი (ლენინგრადი) — 238,7 და ვ. სავინი (ლვოვი) — 230,7.

ორი ტრამპლინის ჯამში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ნაკრებში შევიდნენ: გორკელები — ა. ბოროვიტინი და ს. მუხინი, ლენინგრადელები — ს. საიჩუკი და ვ. ვლასოვი, ალმაათელი ვ. ჩერნიაევი, აგრეთვე, ი. ივანოვი და ვ. სავინი. გუნდი უკვე გაემგზავრა გფრ-ში, სადაც საახალწლო ტურნირში ჩაებმება.

## კალათბურთი

**თბილისის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა საახალწლო თასის გათამაშება.** ასპარეზობაში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, თბილისის უნივერსიტეტის, უცხო ენების ინსტიტუტისა და „შრომითი რეზერვების“ კალათბურთელ ქალთა გუნდები მონაწილეობდნენ.

პირველ ადგილზე გავიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრები, რომელმაც ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა. II და III ადგილებზე შესაბამისად უნივერსიტეტისა და უცხო ენების ინსტიტუტის კალათბურთელები არიან.

**ქ. ხელიძე.**

## თოვლი გატყდა

**ბაკურიანის** თოვლიან ბილიკებზე რამდენიმე დღეს გაგრძელდა რესპუბლიკაში სათხილამურო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება გაზეთ „მოლოდინი გრუზიის“ პრიზებზე. სტარტზე გამოვიდნენ „კოლმეურნეს“, „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“ და თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანის“ („განთიადი“) გუნდები. უკონკურსოდ ძალებს ცდიდნენ მოსკოვის „ბურევესტნიკის“ ტრამპლინიდან მხტომელები და ახალქალაქის დოსააფის სპორტსმენები.

სამთო მოთხილამურეთა ტურნირი ბაკურიანის პარკის ფერდობებზე ჩატარდა. ქალთა შორის პირველობის მთავარ პრეტენდენტებად ითვლებოდნენ რესპუბლიკის ნაკრების წევრები მ. და ც. კოზანაშვილები (ორივე — „დინამო“). სპეციალურ სლალომში საბოლოოდ გამარჯვება მ. კოზანაშვილს დარჩა — 46,8.

ვაჟთა შორის პირველობა მოიგო სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის ჩემპიონმა იუნიორებში ვ. სანაკოევმა („დინამო“). ამ სახეობის გუნდურ ჩათვლაში ყველას დინამოელებმა აჯობეს. ისინი უძლიერესნი იყვნენ, აგრეთვე, „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრებაში. პირადი პირველობა კი ამ საზოგადოების წევრის ბ. ზანგიევის გამარჯვებით დამთავრდა. 40-მეტრიან ტრამპლინზე მისი ნახტომები 47,5 და 48 მეტრი იყო და, ცხადია, ყველაზე მეტი ქულაც მან მიიღო.

მორბენალი ქალები 3 და 5 კილომეტრზე ასპარეზობდნენ, ვაჟები — 5 და 7,5 კილომეტრზე. ორივეჯერ პირველი ადგილები დაიკავეს: ქალთა შორის — სპარტაკელმა ლ. ვასილენკოვამ, ვაჟთა შორის — ა. კალმიკოვმა („კოლმეურნე“). გუნდური პირველობა „კოლმეურნის“ ნაკრებს დარჩა.

**დ. კაპკაშიძე.**

# „მართვე“ №3

**გამოვიდა** ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური დამატება „მართვეს“ მესამე ნომერი.

„მართვეს“ პირველ გვერდებზე დაბეჭდილია ინტერვიუ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ზურაბ ლომიძესთან — „ქართულ სპორტს ტალანტები არ აკლია“, — რომელიც მოსწავლეთა XV სპარტაკიადის შედეგებსა და სამერმისო ამოცანებს ეხება.

მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინისთვის მაია ჩიბურდანიძისა და ნონა გაფრინდაშვილის მატჩზე მოგვითხრობს თამაზ კვაჭანტირაძის წერილი — „მეფე ცოცხალია, გაუმარჯოს მეფეს!“.

„მართვე“ ფართოდ გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის წლევანდელ ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა დიდ გამარჯვებას. ქართული ფეხბურთის „ოქროს“ შემოდგომას ეძღვნება თამაზ ალკაბაძის წერილი — „დაყოვნდი, ქამო!..“

რედაქცია არ ღალატობს თავის რუბრიკებს — „ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა“, „აწმყო, შობილი წარსულისაგან“, „ჩვენი ფოსტა“. მათ ქვეშ დასტამბულია ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, აწ განსვენებული იოსებ იმედაშვილის („გონივრული გართობისა და სამშობლოს შესწავლისათვის“), ჟურნალისტ პაატა ნაცვლიშვილისა („პროფესორი მოკლე შარვლით“) და მიხეილ ოყრომშიძის („სპორტი, ჭომაგი, ვარსკვლავები“) სტატიები. იქვეა რომანოზ სვანიშვილისა და ოთარ ვირუბოვის წერილი — „საექიმო-პედაგოგიური დაკვირვება — სპორტული წვრთნის ერთ-ერთი საფუძველი“.

„საინტერესო და ამაღელვებელი სანახაობა“ — ასე ეწოდება ჟურნალისტ ვლადიმერ მდივანის წერილს, რომელიც ერთხელ კიდევ გვახსენებს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიას, არგენტინაში გამართული დიდი საფეხბურთო ზეიმის პერიპეტიებს.

„მართვეს“ მესამე ნომერში დაბეჭდილია, აგრეთვე, წერილები ვიქტორ სანეევზე, ანატოლი კარპოვზე, ქეთევან ლოსაბერიძეზე და საიდა გუმბაზე, იქვეა ანდრეი რადიონენკოსა და ანდრეი ჩუმაკოვის „ჰერკულესის გაკვეთილების“ გაგრძელება. ჟურნალი გემოვნებითაა გაფორმებული, უხვადაა ფოტოილუსტრაციები.



**ინგლისელმა** მედიკებმა ჩაატარეს გამოკითხვა, რომელმაც ცხადყო, რომ ფეხბურთის მოყვარულთა ვნებათაღელვანი ტელევიზორის ეკრანებთან უფრო სახიფათოა ორგანიზმისათვის, ვიდრე უშუალოდ სტადიონის ტრიბუნებზე დასწრება. „ტელეგულშემატკივრები“ უფრო ხშირად უჩივიან გულის ავადმყოფობას.

**მიუნხენის** „ბაიერნმა“ და მადრიდის „რეალმა“ ხელშეკრულება დადეს ახალი ტურნირის მოწყობის თაობაზე, რომელსაც უნდა ეწოდოს ევროპის სუპერჩემპიონატი. ნავარაუდევია ამ ტურნირში მონაწილეობა მიიღოს ყველა გუნდმა, ვისაც კი ოდესმე გაუმარჯვია ევროპულ საკლუბო ტურნირებში. გათამაშების დებულება ისეთივეა, როგორც ევროპულ საკლუბო ტურნირებში — ე. ი. ორმატჩიანი.

**ავსტრიელმა** მწვრთნელმა ე. ჰაპელმა, რომელიც არგენტინის განვლილ მსოფლიოს ჩემპიონატში ჰოლანდიის ნაკრებს ედგა სათავეში, ახლა კი ბრიუსელის „ბრიუჟს“ ხელმძღვანელობს, განცხადება შეიტანა გადადგომის შესახებ. მან განაცხადა, რომ დაახლოებით ერთი თვის მანძილზე სავსებით უნდა მოშორდეს ფეხბურთს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგება ახალი სამუშაოს ძებნას. როგორც კი ჰაპელის ეს განცხადება გამოქვეყნდა, მას წინადადებები მოუვიდა დანიიდან, რათა ჩაიბაროს ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები, აგრეთვე საბერძნეთიდან, სადაც გათავისუფლდა ათენის „პანათინაიკოსის“ უფროსი მწვრთნელის პოსტი.

**1978** წელს, პირველად დანიის ფეხბურთის ისტორიაში, ეროვნული ჩემპიონატი გათამაშდა პროფესიულ კლუბებს შორის, მაგრამ ამ სიახლეს შესაბამისი ენთუზიაზმი მაყურებელთა მხრივ რატომღაც არ მოჰყოლია: თუ შარშან დანიის ეროვნულ ჩემპიონატს დაესწრო 900 ათასი მაყურებელი, წლეულს გულშემატკივართა რაოდენობა ტრიბუნებზე შემცირდა 650 ათასამდე. ამას იმით ხსნიან, რომ საუკეთესო დანიელი პროფესიონალი მოთამაშეები უცხოეთის კლუბებში გამოდიან. მაგალითად, ა. სიმონსენი, რომელიც 1977 წელს მიჩნეული იყო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად, გამოდის დასავლეთ გერმანიაში.

**განთქმულმა** დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელმა გ. მიულერმა განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ განზრახული აქვს სამუდამოდ დაანებოს თავი თამაშს. გ. მიულერი ახლა 33 წლისაა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში ჩაატარა 62 მატჩი და გაიტანა 68 გოლი. ამას გარდა, მას გატანილი აქვს 56 გოლი ევროპულ საკლუბო ტურნირებში და 365 (424 მატჩში) — ეროვნულ ჩემპიონატებში. 1970 წელს გ. მიულერი მიჩნეული იყო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად.

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტო“ 6-49-დან და 5-36-დან ტირაჟებისა.

**„სპორტლოტო“ 6-49-დან:**

**პირველი:** ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო; ექვსი ციფრიც (შეღავათიანი ბურთულით) ვერავინ გამოიცნო; ხუთი ციფრის (14 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 4384 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 74 ბარათი) — 89, ოთხისთვის (1054 ბარათი) — 64, სამისთვის (24 221 ბარათი) — 3.

**მეორე:** ექვსი ციფრის (1 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 7735 მანეთია, ექვსისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 1 ბარათი) — 1599, ხუთისთვის (32 ბარათი) — 599, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 46 ბარათი) — 53, ოთხისთვის (992 ბარათი) — 28, სამისთვის (14905 ბარათი) — 3.

**„სპორტლოტო“ 5-36-დან:**

**პირველი:** ხუთი ციფრის (5 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (952 ბარათი) — 115, სამისთვის (2468[illegible] ბარათი) — 5.

**მეორე:** ხუთი ციფრის (75 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 76[illegible] მანეთია, ოთხისთვის (968 ბარათი) — 103, სამისთვის (25213 ბარათი) — 5.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 1979 წლის 3 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: ინდექსი 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-58-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-5[illegible]; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭიდაობის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57